



ახალი ტანათლება

2014 წელი, 18-24 სექტემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№26 (660) ბაზოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



ჩემო ზედაგოგებო, საუვარელო მოსწავლეებო, სკოლის თანამშრომლებო და მშობლებო, მინდა მოგილოცოთ ახალი სასწავლო წლის დაწყება. ეველა სიხსლე, რომელზედაც ჩვენ ერთად ვიმუშავებთ, დარწმუნებული ვარ სიკეთის მომტანი იქნება. ჩვენ ერთად უნდა ვიზრუნოთ, თითოეული ჩვენი მცდელობა იყოს წარმატებული. გისურვებთ ნაყოფიერ და შედეგიან სასწავლო წელს.

თამარ სანიკიძე

როზიხალური ღოკუპენტი



სტუდენტთა
სოციალური
პროგრამის
ფარგლებში
დაფინანსება
ბაკალავრებისა და
მაგისტრანტებისთვის

გვერდი 2

ტრენინგისტივიდან უნყვეტი პროფესიული ბანვითარების კონსეფციის დანერბვაზე

გვერდი 4-5

კახა ჟლენტი:

„ახალი სტანდარტი ადგენს, რომ თეორიული ცოდნა მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული პრაქტიკაში. თუმცა, აქვე, სტანდარტში მკაფიოდ ჩანს მასწავლებლის პროფესიული განვითარების გზა, რა განსხვავებაა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ მასწავლებლებს შორის, როგორ და რა საშუალებებით მიიღწევა წარმატება კარიერაში.“

დააკვირდით შესაფასებელ აქტივობებს, მათი უმეტესობა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის სავალდებულო აქტივობებია. ვინ არის საკვანძო შემფასებელი? სკოლა!“

ირინა აბულაძე:

„უნდა ვაღიაროთ – როდესაც სკოლის შიდა შეფასება გაჩნდება, შეცდომებიც გვექნება, მაგრამ ვეცდებით დავეხმაროთ სკოლას მათ დაძლევაში. დაუსრულებლად იმის ძახილი, რომ სკოლა მზად არ არის, მიხედოს თავის თავს – აი, რა არის ყველაზე დიდი რისკი და არა ხელფასისა თუ „კრედიტის“ რაოდენობა.“

სკოლა, რომელიც გამუდმებით საიდანაღაც „გარედან“ ელის დახმარებას, ვერასოდეს შექმნის საკუთარ პოზიტიურ გარემოს, სადაც მთავარი თანამშრომლობა, ნდობა და მიღებულ შედეგებზე პასუხისმგებლობა იქნება.“



ბრძელდება ინტელექტუალური ვიქტორინა
„ნაიკითხა, უკასუსხა და დასვი კითხვა“



იხ. გვერდი 2



**აშშ-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში
ინვესტს მოტივირებულ საჯარო სკოლებს
მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან
თანამშრომლობისთვის**

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, თოთხმეტი წელია, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რაიონებში. კონკურსში მონაწილე სკოლები აშშ-ს მშვიდობის კორპუსის განათლებასთან ერთად 2015-2017 სასწავლო წლებს განმავლობაში, ინგლისური ენის სწავლების დონისა და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რაიონებში: **ქვემოთ (დონის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (ყაზბეგის გარდა), ძველი ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო** (ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ზუგდიდის გარდა), **რაჭა-ლეჩხუმი-ძველი სვანეთი**. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სკოლებსა და ძალბაებს, რომლებიც იმყოფებიან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ატკილომეტრთან ზოლი.

თუ თქვენი სკოლა არის ზემოთ აღნიშნულ რაიონში, ინგლისური ენის მიხედვითი საათობრივი გადახდა შეადგენს 26 საათს და დინამიკისკენი ხარისხის მოხალისეებთან თანამშრომლობით 2015-2017 აკადემიურ წლებში, გაეცანით საინფორმაციო დანართს და დამატებით სკოლაში, შვებულებაში მონაწილის მოთხოვნის ფორმას (ინგლისურ ენაზე), მასწავლებელი ოჯახის განაცხადები (ქართულ ენაზე) და ფორმები მოგვანოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი №29^ა, თბილისი, 0160 ან გამოგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან საგანმანათლებლო რესურსცენტრებში. მოხალისის მოთხოვნის ფორმის ჩამოტვირთვა ასევე შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ვებგვერდიდან: <http://georgia.peacecorps.acsitefactory.com/media/931#overlay-context=user>

**სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის
მიღების საბოლოო ვადაა 20 ოქტომბერი, 2014 წელი.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით
განათლების პროგრამის ხელმძღვანელს:
ასამთ სინარულიძის (ადმოსავლეთი) ან თაო ნაზარაძის (დასავლეთი),
ტელეფონი: (0 32) 224 12 24, ფაქსი: (032) 239 91 06**

ვიქტორინა

**ინტელექტუალური ვიქტორინა
„ნაიკითხა, უპასუხა და
დასვი კითხვა“**

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველებო

გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ კვლავ აგრძელებს ვიქტორინას „ნაიკითხა, უპასუხა და დასვი კითხვა“.

ამჯერად ფედერაცია მთავარზე ბიორბი ლომისის ერთ სანთიერას ნაწარმებს – „გუნგულა“. შერჩეული ნაწარმები აუცილებლად დააფიქრებს მკითხველს ადამიანის მთავარი ღირებულებების შესახებ.

ამოახლოვდით ნაწარმობა ბიორბი ლომისის „გუნგულა“, რომლის ნაწარმებს ასევე შესაძლებელია ინტერნეტის გვერდზე lib.ge.

დარწმუნებული ვართ, გასმოსთ, ვიქტორინას **ერთადერთი პირობა** აქვს – **კონკურსანტი სკოლის მოსწავლე უნდა იყოს**. პასუხი შეგიტყვობთ გამოგვითხადეთ მისამართზე: viqtorina.ssef@gmail.com

პასუხების გარდა, მონაწილეს შეუძლია თავდაცვით დასვას ნაწარმებიდან კითხვა „რა? სად? როდის“ ფორმასში.

თუ გაგიჩნდებათ შეკითხვა „რა? სად? როდის?“ ფორმატთან დაკავშირებით, დასაზუსტებლად ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სატელევიზიო გადაცემის ვებგვერდზე: <http://www.gametv.ge/>, „გამოგვითხადეთ კითხვა“; „10 რჩევა ავტორებისათვის“, რომელიც სხელმძღვანელოდ შეიქმნა გამოქვეყნებით.

- შეგახსენებთ, რომ პროექტის პარტნიორები არიან:
- ❖ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბენეფიციარი დირექტორი, ვიქტორია ვარციანი, მისიტი ბიორბი კაპელიძე;
- ❖ საინფორმაციო მხარდაჭერა გაზეთი „ახალი განათლება“, გაზეთის რედაქტორი – მარიკა ჩიქოვანი;
- ❖ სატელევიზიო გადაცემა „რა? სად? როდის“;
- ❖ „საქართველოს ოლიმპიური კლუბი“, პრეზიდენტი – კახი კახიაშვილი.

გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ წარმატებას გისურვებთ.



ინფორმაცია

სიხლე ზოგად განათლებაში



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურტაშვილი** განათლებაში განხორციელებულ და დაგეგმილ სიახლეებზე პრესკონფერენციაზე ისაუბრა და ამ მიმართულებით, ყურწარმების ამომწურავი ინფორმაცია მიანიჭა.

ზოგადი განათლების სფეროში გატარებული ღონისძიებებს საფუძვლად უდევს სამინისტროს მიერ ჩატარებული ანალიტიკური სამუშაოები, კვლევების შედეგები და კონსულტაციები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და განათლების ექსპერტებთან, რის შედეგადაც, 2014 წელს შემდეგი მიმდინარეობის ღონისძიებები გატარდა:

- ❖ დასრულდა ეროვნული სასწავლო გეგმის დასრულება. დასრულებულია სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი საბაზო და საშუალო საფეხურებზე. მიღებული შედეგი გამოყენებული იქნება ამ საფეხურების საგნობრივი სტანდარტის რევიზიისათვის. 2015 წლის პირველ კვარტალში დასრულდება საბაზო საფეხურის რევიზია.
- ❖ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის პროგრამის პილოტირება წარმატებით დასრულდა და ამჟამად პროგრამაში ჩართულია 500 სკოლა.

საბაზო საფეხურზე სადამრიგებლო საათი კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის უნარების განვითარებას დაეთმობა. მეცხრე კლასიდან მოსწავლეებს, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, დამრიგებელი დაეხმარება მომავალი პროფესიის არჩევაში. სამინისტრო სრულად დააფინანსებს მოსწავლეების სხვადასხვა პროფესიულ ობიექტზე გაყვანას და საქმიანობების სპეციფიკის უშუალოდ ადგილზე გაცნობას. დამრიგებელი კი აღნიშნული საქმიანობისთვის ხელფასზე, დანამატის სახით, 25 ლარს მიიღებს.

- ❖ გრძელდება, საქართველოს მასშტაბით,

სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ახალი სკოლების მშენებლობა. ახალი სასწავლო წლისთვის სრულდება 400-მდე სკოლის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ახალი სასწავლო წლისთვის დასრულდება ასევე 2 ახალი სკოლის მშენებლობა, 2014 წლის ბოლომდე 6 ახალი სკოლა შევა ექსპლუატაციაში, ხოლო სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლა, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე (1000 ბავშვზე გათვლილი), 2015 წლის დასაწყისში დასრულდება. წელს დაიწყება 8 ახალი სკოლის მშენებლობა. აქტიურად მიმდინარეობს სკოლების აღჭურვა საჭირო ინვენტარით, 2014 წელს აღიჭურვა 1500-ზე მეტი სკოლა, ყველა პირველკლასელს და მათ დამრიგებლებს კომპიუტერები გადაეცემა.

- ❖ გრძელდება უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების პროგრამა. 2014 წლის სექტემბრიდან 500 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით.
- ❖ სასკოლო ავტობუსები მოემსახურება 1000-ზე მეტ სკოლას. შესაბამისად, ტრანსპორტის მომსახურებით 53 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს.
- ❖ ყველა სკოლაში, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეა, მუშაობს სპეციალური მასწავლებელი და დამხმარე პედაგოგი. დღეის მონაცემებით, ასეთი 500 პედაგოგია. მათ დაფინანსებას სრულად იღებს საკუთარ თავზე განათლებიდან და მეცნიერების სამინისტრო. უწყებაში იმედოვნებენ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც სპეციალური საჭიროების პედაგოგის კოლექტივი, ტექპერსონალი და მოსწავლეები იწყებენ, რომ გარდაიცვალა

**თბილისის 22-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ტექპერსონალი და მოსწავლეები იწყებენ, რომ გარდაიცვალა
თამარ რურუა
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ბაკალავრებისათვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისთვის გამოყოფილია 2 520 000 (ორი მილიონ ხუთას ოცი ათასი) ლარი.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №501 დადგენილებით.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარადგენს განცხადებას, რომლის ფორმა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს №942 ბრძანებით.

დაფინანსების მისაღებად განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროში წარადგენილი უნდა იყოს 2014 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

ვინ შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში:

I. სოციალური პროგრამის ფარგლებში 1 920 000 (ერთი მილიონ ცხრას ოცი ათასი) ლარი გამოყოფილია 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული შემდეგი კატეგორიის სტუდენტების დასაფინანსებლად:

- ა) 200 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, აქედან:
 - ა.ა) მესტიის მუნიციპალიტეტში – 12 სტუდენტი;
 - ა.ბ) ლენტეხის მუნიციპალიტეტში – 10 სტუდენტი;
 - ა.გ) ონის მუნიციპალიტეტში – 10 სტუდენტი;
 - ა.დ) ქედის მუნიციპალიტეტში – 18 სტუდენტი;
 - ა.ე) ხულოს მუნიციპალიტეტში – 24 სტუდენტი;
 - ა.ვ) შუაქვიის მუნიციპალიტეტში – 18 სტუდენტი;
 - ა.ზ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტში – 10 სტუდენტი;
- ბ) დუშეთის მუნიციპალიტეტში (ბარისახოს, შატილის, ქვეშეთის, მღეთის, მადაროსკარისა და გუდამაყრის სკოლებში) – 10 სტუდენტი;
- ა.ი) ადიგენის მუნიციპალიტეტში – 15 სტუდენტი;
- ა.კ) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში – 10 სტუდენტი;
- ა.ლ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში – 6 სტუდენტი;
- ა.მ) წალკის მუნიციპალიტეტში – 13 სტუდენტი;
- ა.ნ) დმანისის მუნიციპალიტეტში – 16 სტუდენტი;

ა.ო) ახმეტის მუნიციპალიტეტში – 18 სტუდენტი (მათ შორის, პანკისის ხეობის სკოლებში – 8 სტუდენტი; ზემო და ქვემო ალვანის სკოლებში – 10 სტუდენტი);

ა.პ) ასპინძის მუნიციპალიტეტში – 10 სტუდენტი.

ბ) 170 სტუდენტი, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით; ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აქედან:

- ბ.ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათ შორის, აუარის მუნიციპალიტეტში – 90 სტუდენტი;
- ბ.ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის, ქურთის, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში – 75 სტუდენტი;
- ბ.გ) ჩაჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევეში – 5 სტუდენტი.

გ) 15 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

დ) 15 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ე) 50 სტუდენტი, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები.

ვ) 5 სტუდენტი, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები.

ზ) 50 სტუდენტი, რომლებიც არიან ობოლნი (უდემამო).

თ) 100 სტუდენტი, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები.

ი) 30 სტუდენტი, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

კ) 170 სტუდენტი, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე.

ლ) 50 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრისპირა სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მ) 16 სტუდენტი, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან ან მინდობით აღზრდაში) ან გასული არიან სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმყოფებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.

II. სოციალური პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2012 და 2013 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე, აქედან:

- ა) 300 000 (სამასი ათასი) ლარი გამოყოფილია 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებისთვის.
- ბ) 300 000 (სამასი ათასი) ლარი გამოყოფილია 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებისთვის.

თუ პროგრამით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, იგი გადაეცემა:

- ❖ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებს, რომლებიც ჩარიცხული არიან 2005-2013 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა;
- ❖ მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ჩარიცხული არიან 2005-2013 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში;
- ❖ ობოლ (უდემამო) სტუდენტებს, რომლებიც ჩარიცხული არიან 2005-2013 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში.

სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მაგისტრანტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტებისთვის გამოყოფილია 205 000 (ორას ხუთი ათასი) ლარი.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №504 დადგენილებით.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად მაგისტრანტი წარადგენს განცხადებას, რომლის ფორმა და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 22 აგვისტოს №941 ბრძანებით.

დაფინანსების მისაღებად განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროში წარადგენილი უნდა იყოს 2014 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.

ვინ შეიძლება მოიპოვოს დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში:

სოციალური პროგრამით გათვალისწინებული თანხა გადაანაწილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული შემდეგი კატეგორიის მაგისტრანტების დაფინანსებისთვის:

ა) 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი მაგისტრანტებისათვის, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები.

ბ) 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი მაგისტრანტებისათვის, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

გ) 160 000 (ას სამოცი ათასი) ლარი მაგისტრანტებისათვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე.

„ხილულს მიღმა“

UNICEF-ის ახალი გლობალური მონაცემები ბავშვის მიმართ ძალადობის მკვეთრ ზრდას ასახავს

ლალი ჯელაძე

ბავშვის მიმართ ძალადობის ამსახველი მონაცემების ყველაზე სრულყოფილი კრებული, რომელიც 2014 წლის 4 სექტემბერს ნიუ-იორკში გამოქვეყნდა, ბავშვის მიმართ ფიზიკური, სექსუალური და ემოციური ძალადობის გასაოცარ ხარისხს ასახავს და გამოავლენს დამოკიდებულებას, რომელიც უკუდავყოფს და ამართლებს ძალადობას, რაც ნებისმიერ ქვეყანაში და მსოფლიოს ნებისმიერ საზოგადოებაში „ხილულს მიღმა“ რჩება.

მსოფლიოს მასშტაბით, ბავშვების 60% ფიზიკურად ისჯება; 190 ქვეყნის მონაცემების მიხედვით, ბავშვთა მიმართ ძალადობა უნივერსალურია და მას ყველგან შეხვდებით. არ აქვს მნიშვნელობა გეოგრაფიულ, ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და სოციო-ეკონომიკურ საზღვრებს.

მშობლების მიერ განხორციელებული ძალადობრივი დისციპლინა ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა. მსოფლიოს მასშტაბით, 10-დან 6 ბავშვი ფიზიკურად ისჯება, 15-დან 19 წლამდე მოზარდი გოგონების თითქმის მეოთხედს კი განუცდია ფიზიკური ძალადობა მას შემდეგ, რაც 15 წლის გახდა.

„ეს არის არაკომფორტული ფაქტები – არც ერთ მთავრობას და მშობელს არ აქვს ამის დანახვის სურვილი, – განაცხადა გაეროს ბავშვთა ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ენტონი ლეიკმა, – მაგრამ სანამ ჩვენ თვალს არ გავუსწორებთ რეალობას – თითოეული შემადრწუნებელი სტატისტიკა წარმოადგენს ბავშვის ცხოვრებას, რომლის უსაფრთხო, დაცული ბავშვობის უფლება შეილახა – ვერასდროს შეეცვლით მოსაზრებას, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა ჩვეულებრივი და დასაშვებია. არა, ეს ასე არ არის.“

გაეროს ბავშვთა ფონდის ანგარიში – „ხილულს მიღმა“ 190 ქვეყნის მონაცემებს ეფუძნება და ძალადობის დოკუმენტაციას ახდენს იმ ადგილებში, სადაც ბავშვები უსაფრთხოდ უნდა გრძობდნენ თავს: საზოგადოება, სკოლა, სახლი. მასში აღწერილია ძალადობის განგრძობადი, თაობიდან თაობაზე გადაცემი ეფექტი. ანგარიში ადგენს, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვები უფრო მძიმე რეზულტატს აჩვენებენ უმუშევრების, იცხოვრონ სიღარიბეში და თავად გახდნენ მოძალადეები სხვების მიმართ. ავტორები აღნიშნავენ, რომ მონაცემები მოპოვებულია მხოლოდ ინდივიდუალურად, იმ პირებისგან, რომლებმაც გამოხატეს სურვილი და შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ გამოკითხვაში და ამიტომ მაქსიმალურად ზუსტ მონაცემებს წარმოადგენს.

ძირითადი მიგნებები მოიცავს:

სქესობრივი ძალადობა – მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 20 წლამდე ასაკის 120 მილიონ გოგონაზე მეტს (დაახლოებით, ყოველი მეათე), საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი იძულებითი სქესობრივი კავშირი ან სხვა სახის სქესობრივი აქტი და ყოველი მესამე გათხოვილი, 15-დან 19 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (84 მილიონი), ყოფილა ემოციური, ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი, რომელიც განხორციელდა მეუღლის ან პარტნიორის მხრიდან. პარტნიორის მიერ განხორციელებული ძალადობა 70%-ით ან მეტით უფრო მაღალია კონკოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ეკვატორულ გვინეაში. უგანდას, ტანზანიის გავრცელებულ რესპუბლიკასა და ზიმბაბვეში ეს მაჩვენებელი აღწევს ან აღემატება 50%-ს. შეიცვარია, 2009 წელს ჩატარებული ეროვნული კვლევის მიხედვით, 15-დან 17 წლამდე ასაკობრივ ჯგუფის გოგონებსა და ბიჭებს, 22% და 8%, შესაბამისად, ერთხელ მაინც ყოფილა სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი, რომელიც მოიცავდა ფიზიკურ კონტაქტს. სქესობრივი ძალადობის ყველაზე ხშირად გამოვლენილი ფორმა ორივე სქესის წარმომადგენელთათვის იყო კიბერ-ვიქტიმობაცია.



16 წლის მარიანი (სახელი შეცვლილია) ფილიპინებიდან გვიჩვენებს ნაიარეებსა და ჭრილობებს, რომლებიც დედამ მიაყენა

მკვლელობა – მკვლელობის მსხვერპლთა ერთი მეხუთედი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არიან ბავშვები და 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. 2012 წელს დაფიქსირდა, დაახლოებით, 95 000 სიკვდილის შემთხვევა. მკვლელობა წარმოადგენს მამაკაცის სიკვდილის წამყვან მიზეზს, 10-დან 19 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ისეთ ქვეყნებში როგორცაა: პანამა, ვენესუელა, ელ სალვადორი, ტრინიდადი და ტობაგო, ბრაზილია, გვატემალა და კოლუმბია. ნიგერიაში ფიქსირდება ბავშვის მკვლელობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 13 000. დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვლელობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია.

დაზინება – მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყოველი სამიდან ერთი სტუდენტი, 13-დან 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, სკოლაში დაზინების რეგულარული მსხვერპლია. სამოქალაქო ეს მაჩვენებელი შეადგენს 3-ს ყოველ 4 სტუდენტში. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკაში სტუდენტების დაახლოებით მესამედი, 11-დან 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, აღიარებს სხვების დაზინებას, ლატვისა და რუმინეთში კი ეს მაჩვენებელი 10-დან 6 მოსწავლეს შეადგენს.

ძალადობრივი დისციპლინა – 58 ქვეყანაში ბავშვების დაახლოებით 17%-ია მკაცრი ფიზიკური სასჯელის ობიექტი (თავში, ყურში ან სახეში დარტყმა; მიმედ და განმორებით დარტყმა). 2-დან 14 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების 40%-ზე მეტი ყოფილა მკაცრი ფიზიკური დასჯის ობიექტი ჩადაში, ეკვატორსა და იემენში. ზოგადად, 10-დან 3 სრულწლოვანი პირი ფიქრობს, რომ ფიზიკური დასჯა საჭიროა ბავშვის კარგად აღზრდისთვის. სეზილიენდში 82% აღნიშნავენ, რომ ფიზიკური დასჯა აუცილებელია.

დამოკიდებულება ძალადობის მიმართ – 15-დან 19 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის გოგონების დაახლოებით ნახევარს (საშუალოდ 126 მილიონი) სწამს, რომ ქმრის მიერ ცოლის ცემა გამართლებულია გარკვეულ გარემოებებში. პროპორცია იზრდება 80%-მდე და კიდევ უფრო მეტად ავლანეთის, გვინის, იორდანის, მალის და აღმოსავლეთ ტიმორის შემთხვევაში. 60-დან 28 ქვეყანაში, სადაც მონაცემები ორივე სქესთან მიმართებით არსებობს, გოგონების უმეტესობა ფიქრობს, რომ ცოლის ცემა ზოგიერთ შემთხვევაში გამართლებულია. კამბოჯაში, მონღოლეთში, პაკისტანში, რუანდასა და სენეგალში გოგონების ორჯერ მეტი რაოდენობა, ბიჭებთან შედარებით, ფიქრობს, რომ ქმრის მიერ ცოლისთვის ხელის დარტყმა, ზოგიერთ შემთხვევაში, გამართლებულია. 30 ქვეყნის მონაცემები ადგენს, რომ 15-დან 19 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, დაახლოებით, ყოველი 10-დან 7 გოგონას, რომლებიც ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო, არაა დამოკიდებული.

ზრდას იმისათვის, რომ შეიცვალოს ნორმები და დამოკიდებულებები.

„ბავშვის მიმართ ძალადობა ყოველდღე და ყველგან გვხვდება. ეს ყველაზე მეტ ზიანს აყენებს ბავშვებს ინდივიდუალურად, ასევე ანადგურებს საზოგადოებას – არყვეს სტაბილურობას და პროგრესს. მაგრამ ბავშვის მიმართ ძალადობა არ არის გარდაუვალი. მისი პრევენცია შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ უარს არ ვიტყვით ძალადობის დამაღვრებელს, – აღნიშნავს ლეიკი, – ამ ანგარიშში წარმოდგენილი მტკიცებულება გვაძლევს მოქმედებას როგორც ბავშვების კეთილდღეობისათვის, ისე მომავალში მთელ მსოფლიოში საზოგადოების სიძლიერისთვის.“

დასასრულე ძალადობა – ინიციატივა ბავშვის მიმართ ძალადობის დასასრულებლად კოლექტიური მოქმედება – გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF), 2013 წლის 31 ივლისს, იმ ფაქტის აღნიშვნით დაიწყო, რომ ძალადობა ყველგან არის, მაგრამ ის ხშირად ჩვენში მხედველობის მიღმა ხდება ან ადამიანები ძალადობას იტანენ სოციალური და კულტურული ნორმების გამო.

სლოგანით „გახადე დაფარული აშკარა“, ინიციატივის მიზანია, გაზარდოს პირველ ეტაპზე, ცნობიერება და მოხდეს საზოგადოების დამოკიდებულების, ქვეყნის და პოლიტიკის მოდიფიცირება. ინიციატივა ასევე მხარს უჭერს მცდელობებს ნათელი გახადოს, თუ რა მუშაობს და ამით ხაზი გაუსვას მოსაზრებას, რომ ძალადობის პრევენცია შესაძლებელია საზოგადოების ნებისმიერ დონეზე განხორციელებული წარმატებული მცდელობების, და მოქმედებების გზით. მსოფლიოს ყველა რეგიონიდან, დაახლოებით 70 ქვეყანა შეუერთდა კამპანიას „დაასრულე ძალადობა“, რათა მოხდეს ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის იდენტიფიცირება, აღრიცხვა და ანგარიშგება.



UNICEF-ის კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის:

- 24% იყენებს ან გამოიყენებს ფიზიკურ ძალადობას;
- 45%-სთვის ფიზიკური დასჯა ბავშვის აღსაზრდელად მისაღები და შესაფერისია;
- 60%-სთვის მკაცრი აღზრდა უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება;

UNICEF-ის კვლევის თანახმად, საქართველოში:

- ქალების 30%-ზე მეტი ამბობს, რომ იყენებს ფიზიკურ დასჯას;
- მოსახლეობის მხოლოდ 38%-მა იცის, მეტ-ნაკლებად, თუ რა უნდა გააკეთოს ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში;
- მოსახლეობის მხოლოდ 44%-მა იცის ძალადობის ყველა დასახელებული ფორმა.

მსოფლიოს მასშტაბით 2-დან 14 წლამდე ბავშვების 80% ექვემდებარება ძალადობრივ დისციპლინას სახლში.

პროფესიული სწავლება

პროფესიული განათლების თანამედროვე ქერა

ანა ფირცხალაიშვილი

საზოგადოებრივი კოლეჯი „ორიენტირი“ ერთდერთია პროფესიულ სასწავლებელთა შორის, რომელმაც სწავლა 15 სექტემბერს დაიწყო. იგი ხანგრძლივმოქმედი ფასიანი სასწავლებელია საქართველოში, რომლის არსებობასაც ჯერ კიდევ 1992 წელს ჩაუყარა საფუძველი დარგის გამოცდილმა მუშაკმა ანზორ მაჭარაშვილმა. არსებობის პერიოდში „ორიენტირმა“ არაერთხელ განიცადა ცვლილება, როგორც, ზოგადად, განვითარების ასევე ფუნქციური დანიშნულების მიმართულებით. საკანონმდებლო ბაზის ცვლილების მიხედვით, სხვადასხვა დროს, იგი ასრულებდა სამულო, სახელობო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულების ფუნქციებს.

2011 წელს „ორიენტირმა“ წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პროცედურა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების – საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი მიენიჭა. აი, ამ სტატუსით ახალ, სამსართულიან შენობაში, 1900 კვ.მ. ფართობით, განაახლა სასწავლო წელი კოლეჯმა, რომელმაც ძალიან მძიმე წლებში, ბევრი განსაცდელის მიუხედავად, უნარიანი, საქმის მცოდნე ხელმძღვანელის წყალობით, შეძლო თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მომსახურების შეთავაზება. სათანადო ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ბაზები და კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერების კაბინეტები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, მედპუნქტი – აი, ამ სერვისის სთავაზობს კოლეჯი სტუდენტებს, რომლებიც III, IV და V საფეხურზე შემდეგ სპეციალობებს დაეუფლებიან: ინფორმაციული ტექნოლოგიები, ექთნის თანამშენებელი, ბულალოგ-ტერაპიის მკურნალობის მწარმოებელი, ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი, ნივთიერებისა და მასალების

ქიმიური ანალიზის ლაბორანტი, ფარმაცევტის თანამშენებელი, პრაქტიკოსი ექთანი, კბილის ტექნიკოსი, მასაჟისტი.

ანზორ მაჭარაშვილი, კოლეჯის დამფუძნებელი: „პირველ რიგში სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ყველა მოსწავლეს, მასწავლებელსა და სტუდენტს. ჩვენმა სასწავლებელმა რთული გზა გაიარა, ვიდრე აქამდე მოვიდოდა. თავადაც არ მჯერა, რომ ეს შედეგით, მაგრამ ჩემი შვილების – სოფიოსა და რამაზის თანადგომამ და მხარდაჭერამ გამარისკინა, ფაქტობრივად, დანგრეული შენობის შექმნა. რასაც ახლა ხედავთ, ერთნაირი შეუსვენებელი შრომის შედეგია. ისინი ახლაც ჩემ გვერდით არიან – სოფიო ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი, რამაზი სამეურნეო-საორგანიზაციო საკითხებს აკვარებს. სულ 60 პედაგოგი ემსახურება 600 სტუდენტის სწავლებას, ანაზღაურება 500 ლარიდან იწყება. ვფიქრობ, არც სწავლების საფასურია ძვირი – 1200-1400 ლარი. გადახდა თვეების მიხედვითაც შეიძლება. შეთავაზებული სპეციალობები თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება. ამდენად დასაქმების პრობლემა არ შეექმნება მათ, ვინც მაქსიმალურად გამოიყენებს სტუდენტობის დროს. პედაგოგების კვალიფიკაცია და დამსაქმებელთან დადებული ხელშეკრულებები ამის სრულ გარანტიას იძლევა.

„ორიენტირის“ სტუდენტებს სასწავლებლის ხელმძღვანელობამ საზღვიო შეხვედრა მოუწყო, რომელსაც რაიონის გამგებელი ზაზა გაბუნიაც ესწრებოდა. მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ სტუდენტებს აუდიტორიებისკენ გაუძღვნენ პედაგოგები, ხოლო მშობლებს შენობის დათვალიერების საშუალება მიეცათ. ისინი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და მადლიერებას გამოხატავდნენ, რომ თავიანთი შვილები ასეთი მაღალი დონის სასწავლებელში დაეუფლებიან არჩეულ პროფესიებს.



ინფორმაცია



დაიწყო ახალი სასწავლო წელი

თბილისის 300 არაგველის სახელობის საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წელი გამორჩეულად დაიწყო პირველკლასელებისთვის. სკოლის მოედანი გაბრწყინებული ბავშვებით აივსო. შეკრებილებს მიესალმა სკოლის დირექტორი ინგა დალაქიშვილი. მან ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა ყველა მოსწავლეს, განსაკუთრებით მათ, ვინც წელს პირველად შედგეს ფეხი სკოლაში, პედაგოგებს, მშობლებს და უსურვა, რომ ეს წელი ყოფილიყოს ძიებებით, მიგნებებითა და მიღწევებით სავსე. პატარებმა დაათვალიერეს კრწანისის გმირთა მემორიალი, სადაც ისინი მამა მიქაელმა აკურთხა და უსურვა მოყვასის სიყვარული,

ღვთის რწმენა, გამბედაობა და ბეჯითად სწავლა. პატარებმა მემორიალთან ფიცი დადეს, რომ იქნებიან სამშობლოს ერთგული შვილები. პირველკლასელებს ეს ამაღლებული განწყობილება მუდამ ემასსოვრებათ. მარინა ჯელაძე, პირველი კლასის პედაგოგი: „განსაკუთრებული ემოციაა პირველკლასელების მიღება. წლების განმავლობაში დაწყებითებს ვასწავლი და ეს ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ყოველი ახალი ნაკადი, თოთოეული მოსწავლე განსაკუთრებული და გამორჩეულია. ვფიქრობ, წლებგანდელი პირველკლასელებიც ღირსეული მოსწავლეები იქნებიან. მინდა მათ წარმატებები ვუსურვო.“

იურისტის კონსულტაცია

ეპლევით თუ არა მიმუშპრ ძალუბს დამატებითი შესვენება?

დასაქმებულს, რომელიც მეტუქური ქალია და კვებას ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.

წელიწადში რამდენი დღის განმავლობაში შეუძლია დასაქმებულს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით?

დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში, სულ მცირე, 24 სამუშაო დღით. მასწავლებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება მიეცეს ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში არანაკლებ 40 სამუშაო დღის ვადით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს შრომით ხელშეკრულებაში. განსხვავებული ვადა შეიძლება განისაზღვროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.

წელიწადში რამდენი დღის განმავლობაში შეუძლია დასაქმებულს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით?

დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში, სულ მცირე, 15 კალენდა-

რული დღით. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია, 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების განსხვავებული ვადები და პირობები, რომელიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას რა შვებულებები უნდა მიეცეს დასაქმებულს?

შემდეგი საფუძველებით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას: ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას; დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან; დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანხით დაკისრებული ვალდებულების უხეშად დარღვევა; დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი

ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანხით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანხით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა; სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას. დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად.

რა პრინციპით ხდება საშვებულებო ანაზღაურების გამოთვლა?

დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

ნათა ჩანადირი საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

ინფორმაცია

პრემიერ-მინისტრმა მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა



ჩვენ უდიდეს ძალისხმევას ვდებთ განათლების სისტემის განვითარებაში...

ახალი სასწავლო წლის დაწყება მთავრობის მეთაურმა ირაკლი ღარიბაშვილმა...

„დღეს თქვენთან მოვედი იმიტომ, რომ მოგილოცოთ ახალი სასწავლო წლის დაწყება...“

მთავრობის მეთაურმა და განათლების მინისტრმა განახლებული სკოლა დაათვალიერეს...

პედაგოგებთან საუბრისას, პრემიერი მასწავლებელთა ხელფასების ზრდის საკითხსაც შეეხო...

„2015 წელს დამატებით გამოიყოფა ფინანსური რესურსები და დაიწყება მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მონეტრინგები...“

133-ე საჯარო სკოლის დირექტორმა ლიანა ფუტყარაძემ პრემიერ-მინისტრს მიანოდა ინფორმაცია სკოლის შესახებ...

მანდატურის სამსახურს 2013-2014 სასწავლო წლის მუშაობის შედეგები შეაჯავა

საგანმანათლებლო დაწესებულებათა მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა 2013-2014 სასწავლო წლის მანდილზე განუხილეს საშუალო შედეგებს და იმ მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრეს...

თვისობრივად შეცვლილი მანდატურის სამსახური საზოგადოებისათვის მისაღები და მოსწავლის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული გახდა...

ძალიან ნაყოფიერად მუშაობს მანდატურის სამსახურის ბაზაზე არსებული ფსიქოლოგიური ცენტრი...

მანდატურის სამსახური ასევე ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის“ პროექტს...

მანდატურის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა: UNICEF, USAID, PH International და NASRO...

ქართული მოსწავლეები საერთაშორისო ოლიმპიადიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ

ინფორმაციის 26-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე (IOI-2014) საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა 1 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა...

აღნიშნული ოლიმპიადა საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მასშტაბური ოლიმპიადაა...

ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება და მასში 80-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს...

ნაკრები გუნდის შემადგენლობა: ნიკოლოზ სვანიძე - ოქროს მედალი (სსიპ - თბილისის ვლადიმერ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა);

გიორგი სხირტლაძე - ბრინჯაოს მედალი (შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი);

ელენე მაჩაიძე - ბრინჯაოს მედალი (სსიპ - თბილისის ვლადიმერ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა);

ნიკა ნადირაძე - (სსიპ - თბილისის ვლადიმერ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა).

საქართველოს ნაკრებ გუნდს ინფორმაციის 26-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე ხელმძღვანელობდნენ: გიორგი მანდარია - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი და ზაზა გამეზარდაშვილი - თავისუფალი უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდებმა ასევე წარმატებით იასპარეზეს მათემატიკისა და ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადებზე...

სკოლის სხოვრებაში მშობელთა ჩართულობა და განათლება

მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობასთან დაკავშირებით, საქართველოს საგანმანათლებლო და მეცნიერების სამინისტრო ახალ პროგრამებს იწყებს...

სიახლეები მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება:

- ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი რედაქციის მიხედვით, დამრიგებლებისათვის სავალდებულო ხდება მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია;
- ინიციირებული პროგრამები სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გაძლიერების მიზნით, რაც გულისხმობს მშობელსა და სკოლას შორის რეგულარულ, ორმხრივ, შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობას...



2015 წლის იანვრიდან, ინკლუზიური განათლების მიმართულებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების საგანმანათლებლო პროგრამები ამოქმედდება...

ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება მშობელთა განათლების ქვეპროგრამა, რომელიც გულისხმობს მშობელთა ინფორმირებას ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორცაა: ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის ხელშეწყობა...

მშობლებთან დაკავშირებით დაგეგმილი ყველა სიახლე ერთ მიზანს ემსახურება - სკოლამ, ოჯახთან ერთად, აღზარდოს ჯანმრთელი, განათლებული და ღირსეული მოქალაქე.

ქართული ჟესტური ენის განვითარების მხარდაჭერა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ფარგლებში, პროფესიული განათლების სისტემაში დაიწყო ქართული ჟესტური ენის განვითარების მხარდაჭერა.

საკითხი აქტუალურია, რამდენადაც, 2013-2014 სასწავლო წლის განმავლობაში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 12 ყრუ მოზარდი ჩაირიცხა...

სტუდენტთათვის ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფისთვის აუცილებელია შესაბამისი ქართული ჟესტების იდენტიფიცირება და ჟესტურ ენაზე მოლაპარაკეთა შორის დამკვიდრება...

8-10 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეწვია დელეგაცია ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროდან. ნორვეგიელი სპეციალისტები ქართველ კოლეგებს ჟესტების იდენტიფიცირების, დამკვიდრების და ბაზაში ასახვის მეთოდოლოგიას აცნობენ...

ქართული მხრიდან საშუალო შეხვედრებში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები ყრუთა კავშირიდან, ჟესტის მომხმარებელი ყრუ პირები, სტუდენტები, ჟესტური ენის თარჯიმნები და ლინგვისტები...





მიმდინარეობს ხელმოწერა

ბთავაზოტ ტესტების ქრებულეხ ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული ქრებულის ფასი - 10 ლარი



ავტორები: თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I - ქველი ქართული მწერლობა; წიგნი II - „ვეფხისტყაოსანი“; წიგნი III - XIX საუკუნის მწერლობა

- ◆ ქრებულეხში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
◆ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
◆ სწორი პასუხების შემოსაზრის შედეგად თქვენ გაქვებათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
◆ თქვენ შეძლებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაქლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოებრივი, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი - 9 ლარი

ქრებულის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური კლასიკები დაწყებითი კლასებისთვის ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

- 1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პრეფიქსები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი
ერთი ცალის ფასი 2.50 ლარი

თემატური კლასიკები მაღალი კლასებისთვის ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძველმეცნიერები საძარტველოში
6. საძარტველო მცენარეები
7. სამხარის წარმოშობა
8. ნიადაგი - სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროები
11. ზღვის დინებები
12. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მწერის შინაარსი და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი სოცრება
ერთი ცალის ფასი 3 ლარი

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

- 1. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწვემთა თაყვანისცემა - დოგენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოს-გაუარის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიზილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძლავი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. სტანეა - რობინსონ კრუზო
9. საკვირამ განაწრება ბრან შატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა
ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ქართული მწერლები

- 1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომი) I-VI ტომი - 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომი) II, III, IV, V, VII ტომი - 11 ლარი
3. ლევან გოთუბა (7-ტომი) I-II ტომი - 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტომი) I-II ტომი - 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომი) I, II, VI, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომი) I, II, V, VI ტომი - 12 ლარი
7. ვახტანგ ფელიძე (9-ტომი) I-VII ტომი - 12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომი) I-V ტომი - 12 ლარი
9. ოტიან იოსელიანი (10-ტომი) I-X ტომი - 12 ლარი
10. თამაზ შილაძე (6-ტომი) I-VI ტომი - 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომი) I, III, V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლენინი
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პალო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. გენიძი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჯული
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ნიგნის თარო მიმდინარეობს ხელმონერა

„ასოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“


- თეოდორ ფონტანე - ეფი ბრისტი **ახალი**
- მიგელ დელიბასი - ორი რომანი **ახალი**
- აჰმედ ჰ. ტანვინარი - დროის ინსტიტუტი
- ჟან ჟიონო - ჰუსარი სახურავზე
- ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
- რაფაელ საბატინი - ღამიური ბართოლანი ისტორიის მიღმა
- ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელექსირები
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- ჯონ გოლდსმითი - რჩეული მოთხრობები
- ვიქტორ ჰიუგო - ჰარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმა ასული
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- შოტლერ დე ლაკლო - სასიყვართო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმანელობა გულისა
- მარგარიტ დიუბასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- პროსპერ მერიმე - ილევი ვენერა
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - დონ კინოტის დაბრუნება
- სტენდალი - წითელი და შავი
- ჯონ ბრაინი - გზა ელითისაკენ
- ალბერტო მორავია - მოწყვნილობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენშტაინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
- ემილ ზოლა - ძალთა ბედნიერება

თითო ტომის ფასი - 12 ლარი




რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯინები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საზარქმეთი
- ❖ სამშური
- ❖ უდაბნო
- ❖ უკველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმიკა
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი - 9 ლარი

ხელმონერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22




ფასი - 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია სერიიდან ინტელექტი სკოლას



თამაზ ვასაძე ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის **ფასი - 4 ლარი**



თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი **ფასი - 10 ლარი**



თამარ ბეროზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული) **ფასი - 10 ლარი**

ქიმიკა

საატმოსფერო-საგამოსდლო საკითხები და ტანსაცმელი **ლ. თევზაძე ფასი - 3 ლარი**

ქიმიკა

საატმოსფერო გამოსდინისთვის **ლ. მეტრეველი ფასი - 6 ლარი**

ბიოლოგია

საატმოსფერო გამოსდინისთვის **ლ. ბურღილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მალრაძე, ნ. სინარულიძე, მ. ბაგალიშვილი ფასი - 4 ლარი**

გეოგრაფია

საატმოსფერო გამოსდინისთვის **ბ. ჭანტური, მ. ბლიაძე ფასი - 6 ლარი**

ისტორია

საატმოსფერო გამოსდინისთვის **ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია ფასი - 6 ლარი**

ისტორია

ეროვნული გამოსდინისთვის **ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია ფასი - 9 ლარი**

მათემატიკა

სნობარი აზიტიკურიცხებისა და სკოლის მოსწავლეთათვის **ა. წერეთელი ფასი - 5 ლარი**

ფიზიკა

საატმოსფერო გამოსდინისთვის **ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია ფასი - 6 ლარი**



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტიტულაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >